

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ირინა დვალი
წევრ(ებ)ი:
მედეა მაქაცარია

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	218049270

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხელთუბანი
ფაქტობრივი მისამართი	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხელთუბანი
საფოსტო ინდექსი	1400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Kheltubani@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	577922544

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 25 თებერვლის MES 2 26 0000219403 ბრძანება სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ *(ივსება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოებაზე)*

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებაც სურს სკოლას.

V. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (ივსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

„ზოგადი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება სურს სკოლას.

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 25 თებერვლის MES 2 26 0000219403 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის პირობების შესრულების მიზნით განხორციელდა გეგმიური მონიტორინგი სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლაში დოკუმენტების შესწავლით. მონიტორინგის ფარგლებში გამოთხოვილი იქნა №3.4 და №3.6 კომპონენტებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, ფოტომასალა და სათანადო მტკიცებულებები.

მონიტორინგის ფარგლებში, შემოწმდა წინა ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი, შემოწმების შედეგები ასახული იქნა დასკვნის პროექტში, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის მიღების შემდგომ დასკვნაში.

აღსანიშნავია, რომ სკოლას წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები სრულად არ შეუსრულებია, კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს რამდენიმე მიწერილობა სხვადასხვა უწყებასთან, ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობა-ნაგებობების შესაბამისობის შესახებ დასკვნა უფლებამოსილი ორგანოსგან.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
500	**393**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლამ გაიზიარა და გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში გამოთქმული შენიშვნა და რჩევები.

1. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაციის თანახმად, სკოლას არ ჰქონდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობა-ნაგებობების შესაბამისობის შესახებ დასკვნა უფლებამოსილი ორგანოსგან. ამასთან დაკავშირებით არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ აღნიშნა, რომ შესაბამისი ხარვეზების აღმოფხვრის პროექტი მოიპოვა 2023 წელს და ამავე წელსვე-ექპერტიზის დასკვნა აღნიშნული პროექტის შესაბამისობაზე, ვინაიდან სკოლას ბიუჯეტში არ ჰქონდა შესაბამისი თანხა, თავიდანვე მიმართა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუტურის შესაბამის სამსახურს დახმარებისთვის, ხოლო ამ სამსახურის რეორგანიზაციის შემდეგ - გორის მუნიციპალიტეტის მერიას. წერილში სკოლა მერიისგან სახანძრო უსაფრთხოების სამუშაოების შესრულებისათვის ითხოვს საჭირო თანხას 76358.46 ლარის ოდენობით და ვარაუდობს, რომ აღნიშნული ხარვეზი აღმოიფხვრება 2027 წლის ბოლომდე, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 2027 წლის 31 დეკემბრამდე. ამდენად, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ **ინდიკატორი №3.4.1.1 ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.**

X. ინფორმაცია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსის შესახებ (ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

(ცხრილი ივსება მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის წარმოების დროს)

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი №1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი №		
სტანდარტი №3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი №4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი №		

სტანდარტი №2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი №		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი №1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი №		
სტანდარტი №3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი №3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2027 წლის 31 დეკემბრამდე, უფლებამოსილი ორგანოსგან მოიპოვოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობა-ნაგებობების შესაბამისობის შესახებ დასკვნა.

[2] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი №4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი №		
სტანდარტი №2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი №		

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი №1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი №		
სტანდარტი №3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი №3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც შეიმუშავებს შესაბამის მექანიზმებს შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.
სტანდარტი №4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი №		

სტანდარტი №2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*
ინდიკატორი №		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი №3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*	*რეკომენდაციების შესრულების სტატუსი*
ინდიკატორი №3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	მოიპოვოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.	*ნაწილობრივ შესრულებულია*
ინდიკატორი №3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	მოიპოვოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.	*შესრულებულია*
ინდიკატორი №3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უფლებამოსილ უწყებასთან	*შესრულებულია*

ინდიკატორი №3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით	1. სკოლის ვებგვერდის დამზადების თაობაზე შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; 2. ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხიმგებელი პირის გამოყოფა; 3. ვებ გვერდზე სტანდარით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება.	*შესრულებულია*
ინდიკატორი №3.6.3.4.	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას	1. სკოლის ვებ გვერდის დამზადების თაობაზე შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; 2. ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხიმგებელი პირის გამოყოფა; 3. ვებ გვერდზე სტანდარით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება.	*შესრულებულია*
ინდიკატორი №3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული	1. სკოლის ვებ გვერდის დამზადების თაობაზე შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; 2. ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხიმგებელი პირის გამოყოფა; 3. ვებ გვერდზე სტანდარით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება.	*შესრულებულია*

	აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია		

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

სკოლიდან მიღებული დოკუმენტაციითა დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედებს დირექტორის 2023 წლის 10 ივლისის №2-97 ბრძანებით დამტკიცებული ,,უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი“, რომელშიც გაწერილია უსაფრთხოების უზრუნველყოფის შემდეგი მექანიზმები: სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა; წესრიგისა და სკოლის კუთვნილი ქონების დაცვა; საგანგებო შტაბი; მოსწავლის ქცევის კოდექსის, მასწავლებელის პროფესიული ეთოკის კოდექსისა და სკოლის შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგი და დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების განხორციელება;

ფოტომასალით დასტურდება, რომ სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრისით, ა) სკოლის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, ევაკუაციის პროცედურები; ბ) სკოლის პირველ, მეორე და მესამე სართულებზე დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები.

,,უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტში“ აღწერილია, რომ ხანძრის შემთხვევაში, ხორციელდება შემდეგი მოქმედებები:

• ხანძრის კერის შემჩნევის შემთხვევაში ეცნობება საგანგებო სიტუაციებზე პასუხისმგებელ პირს;

• საგანგებო სიტუაციებზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია გააღოს საევაკუაციო გასასვლელი და დარეკოს გაბმული ზარი 30 წამის განმავლობაში, რითაც გააფრთხილებს შენობაში მყოფებს წარმოშობლი საფრთხის შესახებ;

• ხანძრის შესახებ ხმოვანი სიგნალის (გაბმული ზარი) შემთხვევაში ყველასათვის სავალდებულოა შენობის დაუყოვნებლივ დატოვება პანიკის გარეშე;

• სკოლაში მყოფი პირები ვალდებულნი არიან გაეცნონ ევაკუაციის მარშრუტს;
• შენობიდან გასულები აუცილებლად უნდა შეგროვდნენ შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხო ადგილას, რათა დადგინდეს ის პირები, ვინც შენობაში დარჩნენ, მათ შესახებ უნდა ეცნობოს საგანგებო სიტუაციებზე პასუხისმგებელ პირს;
• ევაკუაციის პროცესი იწყება იმ პირებით, რომელთაც არ სჭირდებათ სხვების დახმარება გარეთ გასასვლელად; ერთი ადამიანი (ადმინისტრაციის თანამშრომელი/მასწავლებელი) უნდა დარჩეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან, რომელიც დაეხმარება შენობის დატოვებში, მას შემდეგ, რაც სხვები დატოვებენ შენობას;
• შენობის დატოვებისას, შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა დაიკეტოს ფანჯრები და კარები, რაც ხელს შეუშლის ცეცხლის გავრცელებას;
• ევაკუაციის დროს შენარჩუნებული უნდა იყოს სიმშვიდე, რათა ყველამ მოისმინოს საგანგებო სიტუაციებზე პასუხისმგებელი პირის მითითებები;
• თუ გასასვლელები ჩახერგილია, სკოლაში მყოფი პირები უნდა განთავსდნენ შედარებით უსაფრთხო ადგილას, ეცადნონ დარეკონ სხვებთან და აცნობონ მათ თავიანთი ადგილმდებარეობის შესახებ, ხოლო შემდეგ დაელოდონ მაშველებს;
• დაუშვებელია შენობაში დაბრუნება საგანგებო სიტუაციებზე პასუხისმგებელი პირის ნებართვის გარეშე;
• უსაფრთხო სიტუაციაში აღმოჩენის შემთხვევაში უნდა შეატყობინონ საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრს ნომერზე 112.
• ხანძრის კერის აღმოჩენის შემთხვევაში, სკოლამ შესაძლებლობიდან გამომდინარე მონაწილეობა უნდა მიიღოს ადამიანთა და ქონების გადარჩენაში, ხანძრის ჩაქრობაში.
• სკოლამ უნდა უზრუნველყოს დაშავებულთათვის გადაუდებელი პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა და მათი ოჯახის წევრების ინფორმირება.

შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლას უნდა მოეპოვებინა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობა-ნაგებობების შესაბამისობის შესახებ დასკვნა. ამ ეტაპზე სკოლას ჯერ კიდევ არ აქვს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობა-ნაგებობების შესაბამისობის შესახებ დასკვნა. სკოლამ წარმოადგინა 2026 წლის 1 მარტის MES 9 26 0000283292 წერილი მუნიციპალიტეტის მერისადმი, რომელშიც ითხოვს სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შენობის შესაბამისობის შესრულების მიზნით შესასრულებელ სამუშაოსთვის საჭირო თანხას 76358.46 ლარს. ამდენად, სკოლას მონიტორინგის შედეგადაც დაუდგინდა **ხარვეზი, რომ არ ჰქონდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობა-ნაგებობების შესაბამისობის შესახებ**

დასკვნა უფლებამოსილი ორგანოსგან. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ გამოაგზავნა განახლებული შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც, სკოლა ვარაუდობს, რომ აღნიშნულ პრობლემას მოაგვარებს 2027 წლის 31 დეკემბრამდე. ამდენად, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ ინდიკატორი შეფასდეს ნაწილობრივ დაკმაყოფილებულად და გასცეს რეკომენდაცია, რომ სკოლამ 2027 წლის 31 დეკემბრამდე მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოსგან სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობა-ნაგებობის შესაბამისობის შესახებ დასკვნა.

,,უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტში“ გაწერილი **ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმის** მიხედვით, სკოლის შენობა უზრუნველყოფილია 24 საათიანი დაცვით. ჰყავს 2 დარაჯი, რომლებიც განრიგის შესაბამისად მორიგეობენ; სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა შესვლა დასაშვებია ადმინისტრაციის წინასწარი თანხმობით; სკოლის შენობაში შესვლა ხდება ვიზიტორთა ჟურნალში გატარების მიხედვით; დაუშვებელია სკოლაში ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ნივთიერებების ზეგავლენის ქვეშ გამოცხადება, ნარკოტიკული და ალკოჰოლური ნივთიერებების მიღება; უცენზურო, უხამსი გამონათქვამების გამოყენება და ამგვარი ინფორმაციის გავრცელება; მოსწავლის მიერ სკოლის ტერიტორიის ვადაზე ადრე დატოვება დასაშვებია მხოლოდ დირექტორის მოადგილის გადაწყვეტილებით, რომელიც ეფუძნება მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თხოვნას ან/და სკოლის ექიმის რეკომენდაციას გაშვების შესახებ; სკოლას ჰყავს 2 მანდატური, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლაში წესრიგის დაცვას.

მონიტორინგის შედეგად დადასტურდა, რომ სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები 2 დარაჯთან. სკოლას ემსახურებიან მანდატურები, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ 2025 წლის 26 დეკემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსისადმი გაგზავნილი წერილი, ასევე მრჩეველთა საბჭის შექმნის შესახებ ბრძანება, რომლის ერთ-ერთი წევრი სკოლის მანდატურია.

შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლა ვალდებული იყო წარმოედგინა უფლებამოსილ უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 15 ოქტომბრის MIA 8 25 03371642 წერილი სკოლის დირექტორისადმი, რომლითაც დასტურდება, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის საგანგებო მართვის გეგმა შეესაბამება ,,საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის 452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებული იქნა სამსახურის მიერ.

შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლა ასევე ვალდებული იყო წარმოედგინა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების მიხედვით ირკვევა, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურომ 2024 წლის 15 იანვარს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბანში სახელმწიფო საკუთრებაზე არსებულ 33340 კვ,მ. მიწის ნაკვეთზე მდებარე საჯაროს სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ გასცა დასკვნა, რომლის თანახმადაც, შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებულია და შესაძლებელია შენობის შემდგომი უსაფრთხო ექსპლუატაცია. ამდენად, სკოლამ ამ მხრივ დააკმაყოფილა დადგენილი მოთხოვნა.

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. არ არის შემუშავებული შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. **რჩევა:** სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც შეიმუშავებს შესაბამის მექანიზმებს სკოლაში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

2.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ პირველადი სამედიცინო დახმარების მიზნით სკოლას ჰყავს ექიმი, რომელსაც აქვს ოჯახის ექიმის სახელმწიფო სერტიფიკატი. ექიმთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება.

ფოტომასალით დასტურდება, რომ შენობაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და პირველადი დახმარების საშუალებებით. სამედიცინო კაბინეტში დაცულია პაციენტის გასინჯვისას პრივატულობა, სამედიცინო ტახტი ხელოვნური ბარიერის საშუალებით გამოყოფილია ოთახის სხვა სივრცისგან, წამლებისა და პირველადი დახმარებისთვის განკუთვნილი საშუალებები ინახება კარადაში, რომელიც იკეტება. სკოლისგან მიღებული დოკუმენტაციით ჩანს, რომ ექიმი აწარმოებს ჩანაწერებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით მოთხოვნილი ჟურნალების შესაბამისად.

სკოლაში მოქმედებს დირექტორის 2023 წლის 10 ივლისის 2-92 ბრძანებით დამტკიცებული სამედიცინო პერსონალის საქმიანობის დებულება, რომელიც განსაზღვრავს სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესსა და პროცედურებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლაში მოქმედებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი

წესრიგის დაცვის წესი და პირობები“, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებს, კერძოდ, სკოლაში დირექტორის 2024 წლის 19 ოქტომბრის №1/კ-30 ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, გასცემს რეკომენდაციებს. მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირების დამადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა მისი ოქმები, კერძოდ, 2025 წლის 25 დეკემბრის №2 ოქმი, რომლის მიხედვითაც, მრჩეველთა საბჭომ მოისმინა სკოლის ტერიტორიაზე, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით 1-ელი სემესტრის განმავლობაში გატარებული ღონისძიებების მიმოხილვა და გამოთქვა მოსაზრებები.

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 10 ივლისის №2-98 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, რომლის მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება; სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლაში მოქმედებს დირექტორის 2023 წლის 10 ივლისის ივლისის №2-86 ბრძანებით დამტკიცებული სსსმ მოსწავლის ზოგადი განათლების უზრუნველყოფის დებულება და დირექტორის 2023 წლის 10 ივლისის №2-91 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. სსსმ მოსწავლეების სასწავლო პროცესში მაქსიმალური ჩართულობის მიზნით სკოლას ჰყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, კერძოდ, 2 სპეციალური მასწავლებელი, 1 პირადი ასისტენტი, მათი ფუნქციებიდან გამომდინარე, ისინი უზრუნველყოფენ სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებასრომლებთანაც გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები.

სკოლაში მოქმედებს ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისათვის შიდა ინსტრუქცია, რომლის მიხედვით მოსწავლეზე ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ემოცური, ეკონომიკური და ა.შ. ძალადობის ნიშნების შესახებ ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ხდება მოსწავლესთან გასაუბრება. ასევე, სკოლის მიერ განსაზღვრული რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი ახდენს აღნიშნული მოსწავლის რეფერირებას, რის შემდეგაც ხდება ფსიქოლოგიის სამსახურის მიერ მოსწავლესთან დაკავშირება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება. სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. სკოლის მრჩეველთა საბჭო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ინფორმაციის მიწოდებას ახდენს სასკოლო საზოგადოებისათვის.

სკოლას ჰყას მანდატურები, რომლებიც ასევე ზრუნავენ სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

მიღებული დოკუმენტაციით დგინდება, როსანიტარული და ჰიგიენური ნორმების დასაცავად დირექციამ შეიძინა სანიტარული და ჰიგიენური საშუალებები. სკოლაში დასაქმებული არიან დამლაგებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. დამლაგებლების მუშაობას მონიტორინგს უწევდეს სკოლის ექიმი. სკოლა თანამშრომლობს სოციალურ სამსახურთან, კერძოდ, სკოლას ემსახურება მეეზოვე, ნარჩენების გატანაზე პასუხისმგებელი პირი. ისინი ურუნველყოფენ სკოლის მიმდებარე ტერიტორიის სისუფთავეს, მიღებული ფოტომასალიდან ჩანს, რომ სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ნარჩენების კალათი. სკოლა იხდის დასუფთავების გადასახადას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლაში მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“. სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. სკოლაში მონაცემები მუშავდება სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვით, მონაცემები ინახება იმ ვადით, მუშავდება კანონიერი და კონკრეტული მიზნის მისაღწევად, მონაცემები მუშავდება მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი მიზნისთვისრომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად; სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, ქალაქ გორის საგანმანათლებლო თანამშრომელი, გაწერილია მისი ფუნციები. სკოლა იცავს პერსონალურ მონაცემებს, რაც დასტურდება წარმოადგინილი მშობლების ნებართვებით, რომლებიც ეხება მათი შვილების მიერ სასკოლო აქტივობების შესრულებისას, მუშაობის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალის გადაღებას, ასევე საკლასო, ასევე გასვლითი ღონისძიებების, საკლუბო აქტივობების და სხვადასხვა ღონისძიებების დროს გადაღებული ფოტო და ვიდეოს გამოყენებას, გამოქვეყნებას, კოლეგებს შორის გამოცდილების გასაზიარებლად ანგარიშებში და სხვადასხვა ღონისძიებისას(მაგ. კონფერენციების, პრეზენტაციების და სხვა, როგორც ციფრულ და არაციფრულ გარემოში). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფენ ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან, ასევე მონაცემთა ბაზების იმგვარ ადმინისტრირებას, რომ ინფორმაცია ყველა მოსწავლესა და აკადემიურ პერსონალს მიეწოდოს ინდივიდუალურად. სკოლა იცავს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობას და მოქმედებს მონაცემთა სუბიექტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. საქმისწარმოებისა და ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე წვდომა აქვს მხოლოდ ხელშეკრულებით უფლებამოსილ პირებს. სკოლაში არსებულ ინფორმაციას განეკუთვნება: ინფორმაცია თანამშრომლების შესახებ; ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ; ინფორმაცია მოსწავლეების მშობლების შესახებ; ინფორმაცია ვიზიტორების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და დისტანციური გაკვეთილების ჩატარების მიზნით სკოლაში გამოიყენება ელექტრონული პროგრამა (Teams), რომელსაც ნერგავს და მის ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საინფორმაციო სისტემა. ელექტრონულ პროგრამაში არსებული მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ სკოლაში დასაქმებული პირებისა და მოსწავლეებისთვის შესაბამისი საკლასო ჯგუფების მიხედვით. სწავლების პროცესში, ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, მოადგილეს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც დასტურდება მრჩეველთა საბჭოს ოქმით. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ბრძანებით დადგენილი წესით ახორციელებს ადამიანებისა თუ პროცესების უსაფრთოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც აისახება დირექტორისადმი შედგენილ ანაგრიშებში. სკოლის უსაფრთხოების დაცვის კონტროლის მიზნით დირექტორის ბრძანებით სხვადასხვა მიმართულებით განსაზღვრული არიან პასუხისმგებელი პირები, კერძოდ: თამბაქოს

მონიტორიგზე პასუხისმგებელი პირი; სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი; საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ; პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 2023 წლის 10 ივლისის №2-97 ბრძანებით დამტკიცებული ,,უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი“
- სკოლის დირექტორის 2026 წლის 1 მარტის MES 9 26 0000283292 წერილი მუნიციპალიტეტის მერისადმი
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 26 დეკემბრის წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსისადმი
- სკოლის დირექტორის ბრძანება მრჩეველთა საბჭის შექმნის შესახებ.
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 15 ოქტომბრის MIA 8 25 03371642 წერილი სკოლის დირექტორისადმი
- კირილ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრის 2024 წლის 15 იანვარის დასკვნა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბანში სახელმწიფო საკუთრებაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე საჯაროს სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ
- ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება
- დირექტორის 2023 წლის 10 ივლისის 2-92 ბრძანებით დამტკიცებული სამედიცინო პერსონალის საქმიანობის დებულება
- ექიმის სახელმწიფო სერტიფიკატი
- სკოლის მრჩეველთა საბჭოს 2025 წლის 25 დეკემბრის №2 ოქმი
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 10 ივლისის №2-98 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი
- დირექტორის 2023 წლის 10 ივლისის ივლისის №2-86 ბრძანება სსსმ მოსწავლის ზოგადი განათლების უზრუნველყოფის დებულება

- დირექტორის 2023 წლის 10 ივლისის №2-91 ბრძანება სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესის შესახებ
- დირექტორის ბრძანება„პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების“. შესახებ
- ქალაქ გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წერილი სკოლის დირექტორისადმი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის დანიშვნის შესახებ
- მშობლების ნებართვები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლისგან მიღებული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლას დირექტორის 2023 წლის 10 ივლისის №2-87 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი“. დოკუმენტის შინაარსის თანახმად, წესის მიზანია სკოლაში არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა, ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარება. წესით განსაზღვრულია კომპიუტერული

ლაბორატორით სარგებლობის წესი. წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლას მიეწოდება ინტერნეტი, რაც უზრუნველყოფს მატერიალურ ტექნიკური ბაზის შეუფერხებელ ფუნქციონირებას. სკოლამ ასევე წარმოადგინა მატერიალურ - ტექნიკური რესურსის მიღება - ჩაბარების დოკუმენტი, რითაც დასტურდება კომპიუტერული რესურსის მუდმივი განახლება/განვითარება. დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 10 ივლისის ბრძანებით №2-87 დამტკიცებული აქვს „სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი“. დოკუმენტის შინაარსის და ფოტომასალის შესაბამისად, ლაბორატორია აღჭურვილია შესაბამისი კომპიუტერებით. კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული კომპიუტერებით სარგებლობის უფლება აქვთ მოსწავლეებს, პედაგოგებსა და სკოლის სხვა თანამშრომლებს; დოკუმენტით განსაზღვრულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესები. დოკუმენტაციის თანახმად, დასტურდება, რომ სკოლას მიეწოდება ინტერნეტი, რაც უზრუნველყოფს მატერიალურ ტექნიკური ბაზის შეუფერხებელ ფუნქციონირებას. წარმოდგენილია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიში, რომლის შინაარსით გათვალისწინებულია, რომ სკოლა წინასწარ განსაზღვრული პერიოდის შესაბამისად ახორციელებს აღნიშნული გეგმით დასახულ შემდეგ აქტივობებს, მათ შორის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის სრულყოფას, ანგარიშის თანახმად რესურსოთახი აღჭურვილია როგორც ტექნიკური საშუალებებით (ლეპტოპით, პრინტერით და ა. შ), ისე ინკლუზიური სწავლებისათვის საჭირო რესურსებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ლაბორატორიის ფოტომასალა;
- სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიში;

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 10 ივლისის ბრძანება (2-87) სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ;
- 2023 წლის 17 მარტით დათარიღებული მიღება - ჩაბარების აქტი - კომპიუტერების შესყიდვის შესახებ;
- ინტერენეტით უზრუნველყოფის ფოტომასალა;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2023 წლის 10 ივლისის ბრძანება №2-94 „სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ“ თანდართულ დანართთან ერთად. წესის შესაბამისად განსაზღვრულია შემოსულია კორესპოდენციის რეგისტრაციის წესი, დოკუმენტაციის აღრიცხვის წესი, დოკუმენტაციის განხილვისა და მასზე პასუხის მომხადების წესი, გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის წესი, დოკუმენტის გაგზავნისა და აღრიცხვის წესი, ბრძანების, ხელშეკრულების და მემორანდუმის აღრიცხვის წესი, არქივის წარმოება ა.შ. სკოლის მიერ წარმოდგენილი სარეგისტრაციო ჟურნალების ნიმუშებით დგინდება, რომ აღირიცხება ხელშეკრულებები, სკოლა აფორმებს მემორანდუმებს. სკოლაში ბრძანებების აღრიცხვა მიმდინარეობს დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლაში საქმისწარმოების პროცესის გამართულად მიმდინარეობას უზრუნველყოფს საქმისმწარმოებელი, მასთან სკოლას გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მიერ მოწოდებულო საქმისწარმოების ერთიანი წესის შინაარსიდან დგინდება, რომ სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ E-flow სისტემას, სადაც ტარდება ყველა კორესპონდენცია, ბრძანებები, წერილები, განცხადებები, სამსახურებრივი ბარათები. შენობაში არსებული უწყვეტი დენისა და ინტერნეტის შესაძლებლობა უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის სრულფასოვან მუშაობას. სკოლას აქვს სოციალური ქსელი - ოფიციალური facebook გვერდი, ასევე ელექტრონული ფოსტა: Kheltubani@mes.gov.ge. სკოლა სარგებლობს სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემით eSchool.emis.ge, რომელშიც დაცულია მოსწავლეთა და თანამშრომლების პერსონალური ინფორმაცია. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლამ წარმოადგინა მართვის საინფორმაციო სისტემის eschool-ის ბმული, ბაზაში სკოლის აქვს თავისი პროფილი. სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. ელექტრონული ბაზა, მუდმივად განახლებადია ინფორმაციის თვალსაზრისით და შეტანილია სავალდებულო ინფორმაცია: მოსწავლეთა და თანამშრომელთა მონაცემები, ცხრილები, კვალიფიკაციის დამადასურებელი დოკუმენტები და სხვა. უსაფრთხოების და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველსაყოფად, რესურსცენტრის ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების განხორციელება. ასევე სკოლის 2025 წლის 4 ივნისის წერილის შინაარსის თანახმად დგინდება, რომ სკოლას განსაზღვრული ყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად კომუნიკაცია საგანმანათლებლო დაწესებულებებთა, ადმინისტრაციულ ორგანოებთან მიმდინარეობს წერილობითი ფორმით, eflow ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, სკოლაში დოკუმენტაცია აღირიცხება საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად. წესის თანახმად განსაზღვრულია გასული, შემოსული კორესპოდენციის მომზადების და აღრიცხვის პროცედურა. სკოლას წარმოდგენილი აქვს

შემოსული და გასული კორესპოდენციის ნიმუშები, კორესპოდენციაზე რეაგირების ამსახველი მტკიცებულებები. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს რესურსცენტრთან. სკოლას შემუშავებული აქვს „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომლის შინაარსის თანახმად, სკოლის თანამშრომლები ვალდებულნი არიან სამსახურეობრივი შეტყობინებები, უფლებამოსილების ფარგლებში, გაგზავნონ სკოლის ელექტრონული სისტემის (eFlow) საშუალებით, როგორც სკოლის შიგნით, ასევე სკოლის გარეთ; სკოლის პერსონალისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად, გამოიყენება სატელეფონო კავშირი, სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა და სკოლის ღია სივრცეში საინფორმაციო დაფა, სადაც გამოიკვრება გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ყოველწლიურად წარადგენს ფინანსურ ანგარიშს. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2023 წლის 10 ივლისის ბრძანება (2-94) „სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ“;
- სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესი;
- „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“;
- სკოლის 2025 წლის ფინანსური ანგარიში;
- სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიში;
- ელექტრონული სისტემების ბმული;
- ელექტრონული სისტემების ანაბეჭდი;
- სკოლის სოციალური ქსელი ფოტო;
- რესურსცენტრის უფროსის 2025 წლის 3 ივნისის ბრძანება (ნომერი 43);
- სკოლის 2025 წლის 4 ივნისის წერილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის შესახებ;

- სკოლის დირექტორის 2023 წლის 27 ივლისის ბრძანება №1კ-15 „სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლაში განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის, სკოლის პროფილის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის“ განსაზღვრის შესახებ.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

   სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომლის შინაარსის თანახმად, სკოლის თანამშრომლები ვალდებულნი არიან სამსახურეობრივი შეტყობინებები, უფლებამოსილების ფარგლებში, გაგზავნონ სკოლის ელექტრონული სისტემის (eFlow) საშუალებით, როგორც სკოლის შიგნით, ასევე სკოლის გარეთ; სკოლის პერსონალისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად, გამოიყენება სატელეფონო კავშირი, სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა და სკოლის ღია სივრცეში საინფორმაციო დაფა, სადაც გამოიკვრება გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია. სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდი, რომლის ოფიციალური მისამართია: https://skolebi.emis.ge/გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლა. სკოლის დირექტორის 2023 წლის 27 ივლისის ბრძანებით №1კ-15 განსაზღვრულია „სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლაში განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის, სკოლის პროფილის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი“. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სკოლის პორტალის ადმინისტრირებაზე პასუხიმგებელი პირი. სკოლის დოკუმენტაციის, ვებ - გვერდის დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლა ახორციელებს სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლამ წარმოადგინა მშობლებთან შეხვედრის ოქმი, რითაც დგინდება, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვის და გაუმჯობესების მიზნით სკოლა იღებს უკუკავშირს სასკოლო საზოგადოებისგან. ასევე სკოლამ გამოაგზავნა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანგარიში, რომლითაც დგინდება, რომ სკოლა პერიოდულად ახორციელებს მიმდინარე პროცესების შეფასებას, რის შემდეგაც გეგმავს საქმიანობის გასაუმჯობესებლად აქტივობებს. სკოლის „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, მე-8 მუხლის შინაარსის თანახმად განსაზღვრულია, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირის შედეგები გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას პორტალის https://skolebi.emis.ge თავის გვერდზე ინფორმაცია განთავსებული აქვს ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია ის ინფორმაცია, რომელსაც განსაზღვრავს ინდიკატორი, სკოლის ვებ- გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი

სამოქმედო გეგმა, ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, გეგმების შესრულების შედეგები, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2023 წლის 27 ივლისის ბრძანებია (1კ-15) „სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლაში განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის, სკოლის პროფილის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის“ განსაზღვრის შესახებ;
- „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“;
- ვებ - გვერდის მისამართი: [სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები](#).
- სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიში;
- მშობელთა კრების ოქმი (12.2. 2026).

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი: 30.03.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: